პროექტის გეგმა

პროექტის დასახელება:

სასწავლო პროექტი: "ძალა მანდილისა"

არის ინტეგრირებული პროექტი, რომელიც მოიცავდა შემდეგ სასწავლო დისციპლინებს: სამოქალაქო განათლება, ისტორია, ქართული. პროექტში მონაწილეობდა 20 კადეტი (X -XI--XII კლასი) და მიმდინარეობდა 2022 წლის სექტემბრიდან 2022 წლის დეკემბრამდე.

პრობლემის განსაზღვრა და მისი აქტუალობის დასაბუთება:

დღეს თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი გამოწვევა არის ქალთა უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობისკენ სწრაფვა. ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიის ერთ-ერთი საზომი სწორედ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა და მათი უფლებების დაცვის ხარისხია.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მოსახლეობის 50%-ს ქალები შეადგენენ ისინი არ მონაწილეობენ სხვადასხვა დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ვინაიდან მათ არ აქვთ საკმარისი წვდომა ძალაუფლებასთან და პოლიტიკურ რესურსებთან. პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა განსაკუთრებით მცირე რაოდენობის ჩართულობა თანაბრადაა დამახასიათებელი, როგორც უკვე გამოცდილ, ასევე ახალი დემოკრატიებისათვის. საყოველთაო საარჩევნო უფლებამ ვერ უზრუნველყო ქალთა წარმომადგენლობის მაღალი დონე. თუმცა გამოწვევა მხოლოდ პარლამენტში ქალთა რაოდენობის გაზრდა არაა. ეს ეხება უკვე არსებულ ცრურწმენასაც, რომლის მიხედვითაც, საჯარო სივრცე მხოლოდ კაცების მოქმედების არეალია. საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა დაბალია და საერთაშორისო ნორმებთან და გენდერული თანასწორობის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსასვლელად გაუმჯობესებას საჭიროებს. გენდერული უთანასწორობა აფერხებს ინდივიდუალურ თუ ქვეყნის განვითარებას, საზოგადოების ევოლუციას და ხელს უწყობს ქალებისა და კაცებისათვის არასახარბიელო გარემოს ჩამოყალიბებას., გენდერული თანასწორობის მიმართ საზოგადოებების დამოკიდებულება განსხვავდება იმ საზოგადოებებშიც კი, რომლებიც განვითარების ერთ დონეზე არიან. იგი იცვლება ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორებიცაა: რელიგიური ტრადიციები, სახელმწიფოს მოწყობის ტიპი და დემოკრატიზაციის დონე.

მიუხედავად ქალთა უფლებადამცველების დაუღალავი შრომისა, კიდევ უამრავი გამოწვევა რჩება ქალთა უფლებების დაცვის კუთხით. პროექტში მიმოხილულია ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდსა და თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში, კერძოდ, ამ მიმართულებით არსებული მიღწევები და გამოწვევები.

მოსწავლეები გაეცნობიან ქალთა უფლებრ მდგომარეობას თანამედროვე მსოფლიოსა და საქართველოს მაგალითზე, გაიხსენებენ ქვეყნის ისტორიიდან ქალთა უფლებას, თუ გზა გაიარეს მათ შუშანიკიდან დღემდე, რა სირთულეებისა და გამოწვევების გადალახვა დასჭირდათ. პროექტი ინტეგრირებული იქნება ლიტერატურასთან, რათა კომპოზიციებით თუ როლური თამაშებით მოსწავლეებმა უკეთ გააცოცხლონ ეპოქა, უფრო ნათლად გადმოსცენ მათი ემოციები და მსმენელამდე მიიტანონ თავიანთი სათქმელი.

პროექტის მიზნები:

- ისტორიული ექსკურსი საქართველოს წარსულში

- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში
- დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა
- სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება
- საქართველოს ისტორიული წარსულის გაცნობა ლიტერატურულ კონტექსტში;
- მხატვრული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარება;

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

ამოცანები და განხორციელების გზები:

პროექტის მიზნის შესაბამისად დაისახა და ეტაპობრივად შესრულდა ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები:

1. მოსწავლეთა მხრიდან ინფორმაციის მოპოვება , სამუშაოს დანაწილება– 2022წ. ოქტომბერი
2. როლების განაწილება და დამუშავება –2022წნოემბერი
3. პრეზენტაცია–2022წ. დეკემბერი

პროექტის შედეგი:

მოსწავლეები აღნიშნული პროექტით უკეთ გაეცნენ ქალთა უფლებებს საქართველოს ისტორიის მაგალითზე თუ თანამედროვე მსოფლიოსა და ჩვენს ქვეყანაში. როლური თამაშით და შესაბამისი ჩაცმულობით გააცოცხლეს სხვადასხვა ეპოქა, წარმოაჩინეს ქალების როლი და უფლებები შუშანიკის მარტვილობიდან დღემდე. მოსწავლეებს განუვითარდათ მაღალი სააზროვნო უნარები. პრეზენენტაცია გაიმართა კადეტთა კლუბში.

პროექტის ხელმძღვანელები: **ქალთამზე მელქაძე**

ზინა ბუბუტეიშვილი

ელენე კოხრეიძე